ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4307621

ნომერი: AR1648375

თარიღი : 05.12.2018

გაცემის თარიღი : 24.12.2018

გაცნობის თარიღი : 25.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 87 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 85;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01009009942
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 1 ბ. 36

ორგანიზაცია:
- შპს დომუს ვაკის პარკი კოდი: 405127937

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 5 დეკემბრის AR1648375 განცხადებით მომართა გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების

განხორციელება,  მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო გეგმის დაფიქსირებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის  2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით ქალაქ თბილისში, ფალიაშვილი ქ. N 87 -ში #01.14.11.022.004 (1520 მ2) საკადასტრო კოდით  რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი / შენობის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი,კომერციული,საოფისე) აშენების მიზნით დამტკიცდა  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 1 მარტის #337 განკარგულებით სასტუმროდ სარეკონსტრუქციოდ განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ1=0,7, კ2=4,5. ხოლო, ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 15 აპრილის #849 განკარგულებით ზ. ფალიაშვილის ქ. #87-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის  განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ2=6,5.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ  მოხდა ##01.14.11.022.004;  01.14.11.022.015 საკადასტრო ერთეულების გაერთიანება. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის  2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას და ახალი საკადასტრო კოდის (ს/კ #01.14.11.022.016) (1834 კვ.მ)  დაფიქსირებას.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 ნოემბრის №01.011832035 ბრძანებით შევიდა ცვლილება “ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 15 აპრილის N849 განკარგულებაში და დაფიქსირდა ,,,,ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა N 87; ქალაქი თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N 85-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.022.016) ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ-2=5.8“
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 ნოემბრის №01.011832035 ბრძანების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში  ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

## ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის  2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით დამტკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირედეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი: #01.14.11.022.016, ფართობი 1834 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #892018504791; რეგისტრაციის თარიღი 13/06/2018 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018504791, რეგისტრაციის თარიღი 13/06/2018  წ.);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით  დამტკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის შესახებ · საკადასტრო კოდ(ებ)ი: #01.14.11.022.016, ფართობი: 1834 კვ.მ.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით  დამტკიცებულ  მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ

გამოყენების პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 ნოემბრის №01.011832035 ბრძანება.

4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 18 სექტემბრის №2182257 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.